O-SOR-C-LT-2020-12-31/084342997

SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kiziki str. Tbilisi, Georgia, 0182

Tell: (+995 32) 243 92 75
E-mail :sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი კაპანაძეს

№ O-SOR-C-LT-2020-12-31/08

31.12.2020

ბატონო გიორგი,

ჩვენი კომპანიის მიერ განხილული იქნა თქვენი, მიმდინარე წლის 22 დეკემბრის № წერილი, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში არსებული 161 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.08.30.439) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით მესამე პირზე გადაცემა იმ პირობით, თუ ჩვენს კომპანიას ხაზოვანი ნაგებობით (გაზსადენის ქსელი) სარგებლობისას ან/და განკარგვისას არ შეექმნება არანაირი სახის დაბრკოლება (მათ შორის ახალი მფლობელი არ მოითხოვს აღნიშნული ნაგებობის გადატანას ან/და რეკონსტრუქციას ჩვენს კომპანიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე) და ახალი მფლობელი ვალდებული იქნება უზრუნველყოს ჩვენი კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, უსასყიდლოდ და შეუფერხებლად ხაზოვანი ნაგებობის დათვალიერება და მასზე საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარება, დაცვის ზონისა და პერიმეტრის გათვალისწინებით.

პატივისცემით ,

ზაზა მღებრიშვილი

საავარიო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი